პარტიის კურსი, რომელიც XXV ყრილობამ დასახა, უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის განუწყვეტელ ზრდას, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, ჩვენს შემდგომ წინსვლას კომუნიზმისკენ. იგი მიზნად ისახავს ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას და თითოეული საბჭოთა ადამიანის ინტერესებს შეეხება. აი, რატომ არის, რომ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას მხურვალედ უჭერს მხარს ყველა კომუნისტი, მთელი საბჭოთა ხალხი. აი, რატომ არის, რომ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შინაგან მოთხოვნილებად იქცა. საბჭოთა ადამიანებს სჯერათ თავიანთი პარტიისა და საქმით, თავდადებული შრომით ამტკიცებენ ამას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 213 (5763)

27 ოქტომბერი ოთხშაბათი 1976 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1976 წლის 26 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხებისა და 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხის განხილვას.

ამ საკითხებზე კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: გ. ვ. რომანოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, შ. რ. რაშიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ვ. კოვალენკო — სკკპ ორენბურგის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, რ. ფ. გორიაჩაევა — როსტოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ზოლოტარევსკის" მესიმინდეთა მერგოლური, მ. გ. გაფუროვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პ. თ. ლომაკო — სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრი, თ. ტ. მორგუნი — უკრაინის კომპარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ე. კ. მესიაცი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი, გ. ი. მარჩუკი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე, ბ. ლ. მიხაილოვი — ხარკოვის ვ. ა. მალიშევის სახელობის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნის ხარატი, ა. ე. ვოსი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ნ. რუდნევი — სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა მინისტრი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამ მოხსენებათა გამო მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. ი. პ. რიაბოვი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან წევრებად გაიყვანა ამხანაგები ვ. ა. კარლოვი, პ. ნ. ბელიაკი, თ. ტ. მორგუნი.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.





15 წლის წინათ მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის სპორტის მოყვარულთა მრავალათასიანი არმია ჩადგა ისეთი ცნობილი კოლექტივების მწყობრში, როგორიც „ტორპედო", „შინიკი" და სხვები არიან. ახალ სპორტულ კლუბს „მოსკვიჩი" ეწოდა. ახლა ქარხანაში ფიზკულტურას 10000-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე მისდევს. მუშაობს 29 სექცია.

* * *

სურათებზე: საწარმოო ტანვარჯიში ქარხნის ერთ-ერთ საამქროში; კლუბის ველოსიპედისტები მოსკოვის პირველობაზე ასპარეზობის დროს.

საკდესის ფოტო.

შემდგომი წინსვლის მძლავრი სტიმული

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას დიდი ინტერესით გაეცნო ჩვენი ფაბრიკის ყველა მუშა და მოსამსახურე. ამ მოხსენებაში ღრმად, მეცნიერულად არის განხილული მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის, კაპიტალური დაბანდების მოცულობისა თუ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, აგრეთვე, საერთაშორისო საკითხები. ლ. ი. ბრეჟნევმა პლენუმზე თქვა: „როგორც უკვე მოგახსენეთ, მიმდინარე წლის შედეგები გვიჩვენებს, რომ წინსვლა უფრო სწრაფად შეგვიძლია, ვიდრე გეგმით გვქონდა გათვალისწინებული. იმისთვის, რომ შევქმნათ საჭირო მარაგნამეტი, კარგი გარანტია მთლიანად ხუთწლედის შესრულებისთვის, 1977 წელს უფრო მაღალ მიჯნებს უნდა მივაღწიოთ, ყველაფერი ვიღონოთ, რომ გადავაჭარბოთ საგეგმო მონახაზებს. რა თქმა უნდა, არა ეფექტურობისა და ხარისხის საზიანოდ, არამედ უწინარეს ყოვლისა მათი ამაღლების საფუძველზე".

ეს სიტყვები, რომლებიც ჩვენი წინსვლის მძლავრი სტიმულია, მოგვიწოდებს, რომ ხვალ უკეთ ვიმუშაოთ, ვიდრე დღეს, შევქმნათ საჭირო მარაგნამეტი ისე, რომ ეფექტურობისა და ხარისხის საქმე არ შეფერხდეს.

პირადად მე და მთელი ჩვენი კოლექტივი ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა წარმატებით დავძლიოთ მიმდინარე წლის ამოცანები, ხოლო შემდეგ განახლებული ენერგიით ვიბრძოლოთ X ხუთწლედის გეგმების პირნათლად შესრულებისთვის. ეს კი დიდი გარანტიაა მთლიანად ხუთწლედის წარმატებით დაგვირგვინებისთვის.

ზ. ხალვაში,
თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის ქველსტატი.

ჩვენი სამოქმედო პროგრამა

„ალბათ, შეიძლება, ასე ჩამოვაყალიბოთ ამოცანა: უნდა ვისწავლოთ უფრო ეფექტიანი ბრძოლა ეფექტიანობის ამაღლებისთვის. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავზარდოთ ხარისხისნიშნიანი სამრეწველო პროდუქციის გამოშვება — არა ორჯერ, როგორც ეს ხუთწლიანი გეგმის პროექტით არის დასახული, არამედ გაცილებით მეტი ოდენობით. ამას მოჰყვება უფრო მაღალი მაჩვენებლები ფონდუკუგების გადიდებისა და მატერიალური ტევადობის შემცირების მხრივ. ეს, საბოლოო ანგარიშით, შესაძლებლობას მოგვცემს გავადიდოთ საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპი და ამ მაჩვენებლით გავიდეთ არა პროექტით გათვალისწინებულ ქვედა, არამედ ძირითადი მიმართულებების ზედა დონეზე".

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ეს სიტყვები, წარმოთქმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ბევრს გვავალებს. ეს სიტყვები ჩვენი სამოქმედო პროგრამაა. ყველა კომუნისტმა, საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელმა უდიდესი ენერგიით, საქმის ცოდნით, ეფექტიანად უნდა იბრძოლოს თვით ეფექტიანობის ამაღლებისთვის. ეფექტიანობა არის თავი და თავი ჩვენი მუშაობისა.

ჩემი ამხანაგების, კოლეგების სახელით პირობას ვდებ, რომ მთელს ენერგიას, ძალასა და ცოდნას მოვახმართ ამ საპასუხისმგებლო ამოცანის განხორციელებას.

მე, მაგალითად, გადაწყვეტილი მაქვს X ხუთწლედის— ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის პირველი წლის პირადი გეგმა-ვალდებულებები 15 დეკემბრისთვის შევასრულო.

თ. ჯინჭარაძე,
თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის მქსოველი.

წინ ნახევარფინალია

ჰოლანდიაში დამთავრდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების წინასწარი შეჯიბრება წყალბურთელთა გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის სპორტსმენებიც. მათ სამი მეტოქე დაამარცხეს, ხოლო ბოლო მატჩში ფრედ (7:7) ითამაშეს მასპინძლებთან და ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიხვეჭეს. ნახევარფინალში (მოსკოვი, 12-14 ნოემბერი) მათთან ერთად იასპარეზებენ იუგოსლავიის „პარტიზანი", უნგრეთის „ვაშაში" და იტალიის „ფლორენცია".

მეორე ნახევარფინალი მოეწყობა დუისბურგში (გფრ), სადაც გამოვლენ ბულგარეთის, ჰოლანდიის, გფრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის საკლუბო გუნდები.

ოლიმპიური მოსკოვის მაჯისცემა

თითქოს გუშინ იყო: 1974 წლის 23 ოქტომბერს ვენაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე მოსკოვი XXII ოლიმპიადის დედაქალაქად გამოაცხადეს. დღეს მოსკოვში სულ უფრო ცხოვლად იგრძნობა ოლიმპიური სუნთქვა. ეს არც არის გასაკვირი. მსოფლიო სპორტის მორიგ ფორუმამდე — 1980 წლის ოლიმპიადამდე არც ისე დიდი დრო რჩება — 1362 დღე.

25 ოქტომბერს მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე საუბარი იყო საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის, აგრეთვე, ტალინის, კიევის, მინსკისა და ლენინგრადის (აქ ჩატარდება ფეხბურთელთა ტურნირის მატჩები) მზადებაზე მომავალი, XXII ოლიმპიური თამაშებისთვის.

ოლიმპიადა 80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. სმირნოვმა განაცხადა, რომ თამაშებში მოსალოდნელია 12 ათასი სპორტსმენისა და ოფიციალური პირის მონაწილეობა. ათლეტები სპორტის 21 სახეობაში ჯილდოების 199 კომპლექტს გაითამაშებენ. ვარაუდობენ, რომ ასპარეზობას დაესწრება პრესის, რადიოს და ტელევიზიის 6-7 ათასი წარმომადგენელი, აგრეთვე, ნახევარ მილიონამდე ტურისტი, მათ შორის 300 ათასი უცხოელი.

ერთი კვირის წინათ ბარსელონაში ჩატარდა სოკ-ის აღმასკომის სხდომა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა წარმომადგენლებთან ერთად. სხდომამ მოისმინა მორიგი ანგარიში მოსკოვსა და ტალინში ჩატარებული მუშაობის შესახებ. საბჭოთა წარმომადგენლები ბარსელონაში ინფორმაციით გამოვიდნენ სპორტულ მშენებლობათა (ამჟამად მშენებარე და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი ობიექტების რიცხვი ოცს აღწევს) და საბჭოთა ქვეყანაში მსაჯთა კადრების მზადების თაობაზე, იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება ოლიმპიადა 80-ის საორგანიზაციო კომიტეტის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პროგრამა. სოკ-ის აღმასკომსა და ფედერაციებს წარუდგინეს XXII ოლიმპიური თამაშების პროგრამა დღეების მიხედვით, რომელსაც მონრეალის ასპარეზობასთან შედარებით დაემატა ქალთა გუნდების ტურნირი ბალახის ჰოკეიში.

პრეს-კონფერენციის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს ცნობა მოსკოვში ოლიმპიური ობიექტების განლაგების შესახებ, იმის თაობაზე, თუ სად ჩატარდება შეჯიბრებები. ვ. სმირნოვმა აღნიშნა, რომ თამაშებისთვის მზადება გავლენას ვერ მოახდენს საბინაო მშენებლობის ტემპებზე.

პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის დროს, 1979 წელს, შეჯიბრებებში საბჭოთა ათლეტებთან ერთად პირველად მიიღებენ მონაწილეობას უცხოეთის ბევრი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

ლ. ლებედევი,
ვ. ოტკალენკო.

„პრავდა".

ახალი ამბები

● ბაქო, 25 ოქტომბერი. ხელბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირში „მეგობრობა" დამთავრდა წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში. I ქვეჯგუფში გაიმარჯვეს საბჭოთა ხელბურთელებმა, რომლებმაც ...

(17:12), ხოლო პოლონელებთან შეხვედრა ფრედ (15:15) დაამთავრეს. II ადგილზე დარჩნენ პოლონელები. მეორე ქვეჯგუფიდან ფინალში გავიდნენ რუმინეთისა და გდრ-ის გუნდები. ეს ოთხი კოლექტივი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ო. მურვანიძე ბათუმიდან გვატყობინებს

● ●

ესტაფეტა ბათუმის ქუჩებში

ბათუმში მოეწყო ქალაქის სკოლების მძლეოსნური ესტაფეტა, რომელშიც 22 კოლექტივი ჩაება. ესტაფეტა 15 ეტაპისგან შედგებოდა. პირველივე ეტაპზე დაწინაურდა მე-8 სკოლის გუნდი. იგი ამ უპირატესობას მერვე ეტაპამდე ინარჩუნებდა. შემდეგ კი ლიდერობა ხელთ იგდო მე-11 სკოლამ (დირექტორი ნ. შური, ფიზაღზრდის მასწავლებელი თ. ძიძიშვილი) და გამარჯვებაც მოიპოვა. II ადგილი დაიკავა შარშანდელ ასეთივე შეჯიბრებაში გამარჯვებულმა მე-15 სკოლის ნაკრებმა. მე-8 სკოლის კოლექტივი III ადგილზე გავიდა.

არც ერთი გოლი, არც ერთი ქულა

დაიწყო აჭარის მეორე ახალგაზრდული თამაშები. ქობულეთში გაიმართა ფეხბურთელთა ასპარეზობა, რომელშიც ქ. ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედისა და შუახევის რაიონების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

ბათუმელმა ჭაბუკებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს და 8 ქულით I ადგილი დაიკავეს. II ადგილზეა ქობულეთის გუნდი — 6 ქულა, III — ხელვაჩაურის კოლექტივი — 4.

ქედისა და შუახევის რაიონებმა ძალიან სუსტი გუნდები გამოგზავნეს. შუახეველებმა ტურნირი ისე დაამთავრეს, რომ მოწინააღმდეგის კარში არც ერთი ბურთი არ გაუტანიათ, არც ერთი ქულა არ მოუპოვებიათ. ხულოს რაიონმა კი გუნდის გამოგზავნისთვის თავი არ შეიწუხა.

დარბაზიც საჭიროა

ვფიქრობთ, დღეს ზედმეტია იმის შეხსენება, რომ სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდისთვის ფიზკულტურა და სპორტი უპირატესი საშუალებაა. სწორედ ამიტომაა აუცილებელი, რომ ყველა სკოლას ჰქონდეს სპორტდარბაზი, თანაც თანამედროვე ტიპისა, ნათელი.

სწორედ ამის გამოა შეშფოთებული გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგის 8-წლიანი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ვალერიან რიკაძე (იგი მეთოდისტადაც მუშაობს ველჯინის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში), თუმცა სკოლას აქვს ფრენბურთის (2), კალათბურთისა და ფეხბურთის მარტივი ტიპის სასწავლო მოედნები და მინდორი.

წლეულს კოლაგელებმა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების გეგმა წარმატებით შეასრულეს — 20 ნიშნოსანი მოამზადეს.

მაგრამ მასწავლებელს ეს არ აკმაყოფილებს.

— როგორც ხედავთ, სპორტული დარბაზი ძალიან პატარაა. გასახდელები არა გვაქვს. ზამთრობით აქ მეცადინეობა შეუძლებელია, — ამბობს იგი.

მასწავლებელმა სკოლის ეზოში თავისი ხელით მოაწყო სპორტული მოედნები. მას უფლება აქვს მეტი მოითხოვოს, უდარბაზოდ კი მუშაობის სათანადო დონეზე გაშლა მართლაც ძნელია.

ჰ. დავითაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

კოლაგი,
გურჯაანის რაიონი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: კოლაგის 8-წლიანი სკოლის მეშვიდეკლასელები ფრენბურთში ვარჯიშობენ.

თ. ქიქავას ფოტო.

მეტი მოთხოვნა, მეტი შეგნებაც

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით წლეულს სტუდენტთა VII საკავშირო სპორტული თამაშები ჩატარდა. ეს დიდი შეჯიბრება საბჭოთა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული მუშაობის დათვალიერება და 1977 წლის სტუდენტთა მსოფლიო თამაშებისთვის ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იყო.

საკავშირო ასპარეზობას წინ უსწრებდა სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშები. დაკომპლექტდა ნაკრები გუნდები, ჩატარდა სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები.

საკავშირო თამაშების პროგრამაში 29 სახეობა შედიოდა. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდებმა 28 სახეობაში იასპარეზეს — მხოლოდ აფროსნობაში არ მიუღიათ მონაწილეობა. კარგი შედეგები მოიპოვეს ძიუდოისტებმა (I ადგილი, მწვრთნელები — გ. პაპიტაშვილი და გ. გოგოლაური), ფრენბურთელმა ვაჟებმა, ჩოგბურთელებმა (II ადგილი, მწვრთნელები — ი. ნიკოლაიშვილი, ა. ელერდაშვილი), სამბისტებმა, წყალბურთელებმა, ხელბურთელმა ვაჟებმა, თანამედროვე ხუთჭიდის წარმომადგენლებმა, მშვილდოსნებმა (III ადგილი, მწვრთნელები — გ. გოგოლაური, ი. ჩხიკვაძე, ი. ფხაკაძე, ჯ. ზალდასტანიშვილი, ო. ჭიჭინაძე, გ. დავითაშვილი); თამაშების ჩემპიონები გახდნენ: თავისუფალ ჭიდაობაში — გ. მაკასარაშვილი, კლასიკურ ჭიდაობაში — შ. მორჩილაძე, მძლეოსნობაში დ. საბაური (სამივე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ძიუდოში — დ. კბილაშვილი (უნივერსიტეტი) და თ. ხუბულური (გორის პედაგოგიური ინსტიტუტი), კრივში — დ. კვაჭაძე, ტანვარჯიშში — ნ. დრონოვა, წყალში ხტომაში — ლ. ფირალიშვილი (სამივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი), სამბოში — გ. წითელაური (თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი). ჩვენმა სპორტსმენებმა ერთი I, ორი II, ხუთი III, ორი IV, ოთხი V და სამი VI გუნდური ადგილი დაიკავეს.

აღსანიშნავია, რომ სპორტულ თამაშებში (პარალელური ჩათვლით) საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი უნივერსიტეტებისა და ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ კლუბებს შორის II ადგილზე გავიდა. ჩვენი ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულმა კოლექტივმა კი XIII ადგილი დაიკავა.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდა საკავშირო თამაშებში მონაწილეობას, კრიტიკულად ვერ შეაფასა თავისი შესაძლებლობები, ვერ განსაზღვრა მეტოქე გუნდების ძალები. ეს იყო მიზეზი, რომ სტუდენტთა ნაკრებმა გუნდებმა ჭადრაკში (მწვრთნელი თ. კიკიანი) V ადგილი დაიკავეს, თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში — VI (მწვრთნელები — ბ. ბიბილაშვილი, ნ. ლეშკაშელი, ა. ფხაკაძე, რ. კოკოშვილი, გ. გედევანიშვილი), აკრობატიკაში — VII (მწვრთნელი ბ. ვოლჩენკო), კლასიკურ ჭიდაობაში — IX (ო. ბლიაძე), კრივში, ველორბოლაში, მძლეოსნობასა და ძალოსნობაში — X (მწვრთნელები — გ. ძნელაძე, ო. აჯიაშვილი, ზ. ტყეშელაშვილი, ნ. ზუბიტაშვილი), საგზატკეცილო ველორბოლაში, ნიჩბოსნობაში — XI (ი. გოცირიძე, მ. ჩხეიძე, ნ. გელოვანი), ცურვაში — XII (ა. პისკარიოვი). განსაკუთრებით გულსატკენია, რომ კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში (მწვრთნელები—ვ. ჭოტაშვილი, ლ. ძეკონსკი, მ. მელაძე) ზონალურ შეჯიბრებებში წარუმატებლად გამოსვლის გამო სტუდენტებმა ფინალში მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვეს, ხოლო მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ჩათვლაც ვერ მიიღეს. ყოველივე ამის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის სტუდენტთა კოლექტივს 6418 ქულა და VII ადგილი ხვდა რუსეთის ფედერაციის (15153 ქულა), უკრაინის (13880), ქ. მოსკოვის (13258), ბელორუსიის (8476), უზბეკეთისა (7133) და ლენინგრადის (6969 ქულა) ნაკრები გუნდების შემდეგ.

საგულისხმოა, რომ სპორტულ თამაშებში (პარალელური ჩათვლით) თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივმა უნივერსიტეტებისა და ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ კლუბებს შორის XI ადგილი დაიკავა, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებს შორის — 35-ე, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი შესაბამისად 94-ე და 167-ე ადგილებზე გავიდა; თელავის პედინსტიტუტი პედაგოგიური ინსტიტუტების სპორტულ კლუბებს შორის 42-ე იყო, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში —143-ე, გორის პედინსტიტუტს 25-ე და 154-ე ადგილები ხვდა, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტს — 35-ე და 145-ე, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტს — 71-ე და 258-ე, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს — 77-ე და 193-ე, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს — 83-ე და 293 (ბოლო), ხოლო სოხუმისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენლები საკავშირო თამაშებში საერთოდ არ მონაწილეობდნენ.

ასეთი არასახარბიელო შედეგები, უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ უმაღლესი სასწავლებლების, განსაკუთრებით კი სპორტული დახელოვნების გაერთიანებული განყოფილების მწვრთნელი-მასწავლებლები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას, არ იმაღლებენ პროფესიულ დონეს, წვრთნის პროცესში ნაკლებად იყენებენ ახალ მეთოდებს, ზოგიერთი მათგანი შეთავსებით მუშაობს სხვადასხვა ორგანიზაციებსა და სკოლებში, რაც გავლენას ახდენს მათი მუშაობის ეფექტიანობასა და ხარისხზეც. უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრები და სპორტული კლუბების გამგეობები ნაკლებ კონტროლს უწევენ მწვრთნელთა საქმიანობას. ამიტომ იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როდესაც სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობები საჭირო დონეზე და სრული ინტენსივობით არ ტარდება. პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტები და „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭო საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ სტუდენტთა სპორტის სადღეისო მოთხოვნათა შესაბამისად უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისთვის.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორატები მოვალენი არიან ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უახლოეს ხანში განიხილონ სტუდენტთა საკავშირო სპორტულ თამაშებში მონაწილეობის შედეგები და განახორციელონ ღონისძიებანი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ განათლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად კონკრეტული ღონისძიებები უნდა დასახონ სტუდენტთა სპორტის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

როგორც ცნობილია, 1977 წელს სოფიაში გაიმართება საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები და სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა. ეს შეჯიბრებები საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და 1980 წლის მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იქნება. ჩვენი ვალია გულმოდგინედ ვიშრომოთ, რათა წარმატებით შევხვდეთ ამ დიდ სპორტულ ფორუმებს.

შ. სუხიშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის განყოფილების უფროსი.

ჩვენი სპორტის გოლიათები

წარმატებებმა იმატა



1942 წლიდან სრულიად ახალგაზრდა შაქრო ჩანგელია სამამულო ომში გერმანელ ფაშისტებს ებრძოდა. ომგადახდილი ვაჟკაცი 1947 წელს დაბრუნდა შინ და ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის საშუალო სკოლაში სამხედრო საგნისა და ფიზკულტურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1958 წელს იგი გადაიყვანეს ზუგდიდის „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარედ, სადაც დღემდე მუშაობს. ზუგდიდის „კოლმეურნის" რაიონული საბჭო დიდხანს იყო ჩამორჩენილთა შორის. მას შემდეგ, რაც მას შაქრო ჩანგელია ჩაუდგა სათავეში, მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, წარმატებებმა იმატა... ამ სიტყვების დასადასტურებლად თუნდაც ის კმარა, რომ 1973-1974 წლებში ზუგდიდელებს „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა გადაეცათ.

1975 წელს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ მოაწყვეს II რესპუბლიკური სპარტაკიადა ეროვნულ სახეობებში (ქართული ჭიდაობა, ძალოსანთა კონკურსი, ცხენბურთი, ისინდი, მარულა და მშვილდოსნობა). ამ ასპარეზობაში ზუგდიდის „კოლმეურნის" რაისაბჭოს ნაკრებმა გუნდური I ადგილი დაიკავა.

შაქრო ჩანგელია უკვე 50 წელს გადაცილებული, ენერგიით აღსავსე ამ წარმატებათა ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია.

ზუგდიდის რაისაბჭოს ნაკრები გუნდები წლეულსაც წარმატებით ასპარეზობენ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში, რომელიც ნოემბერში მთავრდება.

— გასულ, IX ხუთწლედში, — თქვა ჩვენთან საუბარში ჩანგელიამ, — მშდ-ს ნიშნოსანთა და თანრიგოსან-სპორტსმენთა მომზადების გეგმები დიდი გადაჭარბებით შესრულდა. ერთის ნაცვლად მომზადდა ორი სპორტის ოსტატი (ცხენოსნობასა და ველოსპორტში). მეათე ხუთწლედის პირველი წელი კვლავ დამკვრელურად დაიწყო, სპორტის ოსტატთა, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა მომზადების გეგმა-ვალდებულებებს სანოემბროდ გადაჭარბებით შევასრულებთ.

ამას წინათ შაქრო ჩანგელია ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მიზნით გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

მივულოცოთ ეს საპატიო ჯილდო ამაგდარ ადამიანს და ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები.

თ. ქიქავა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ზუგდიდი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზემოთ — შ. ჩანგელია; ქვემოთ შ. ჩანგელია რაიონის მოწინავე ფიზკულტურელებთან.

ავტორის ფოტოები.

იმარჯვეს თბილისელებმა

გორის საჭიდაო დარბაზში სამ დღეს გაგრძელდა საქართველოს ახალგაზრდული პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ თბილისის, აგარის, ქუთაისის, თელავის, ახმეტის, გორის, გორის რაიონისა და სხვა გუნდები.

27 საჯარიმო ქულით გუნდური I ადგილი თბილისის ნაკრებმა მოიპოვა. შემდეგ მოდიან გორისა და გორის რაიონის გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით იმარჯვეს ზ. გოგინაშვილმა (ქარელი), ტ. ვათიაშვილმა (გორი), მ. მაისურაძემ, დ. აზიკურმა (ორივე — თბილისი), ნ. ვათიაშვილმა (გორი), ი. სიდამონიძემ (გორის რაიონი), ი. ბალაკაშვილმა, გ. გასიტაშვილმა (ორივე — გორი).

გორის რაიონის წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრიზებით დაჯილდოვდნენ ტურნირის საუკეთესო მოჭიდავეები.

ე. კოშკაძე,
გორის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

1976

სსრ კავშირის ჩემპიონატი

სუსტიკვის ციკა

25 ოქტომბერს მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ შორის.

გაიმარჯვეს დინამოელებმა — 3:0. 3 ბურთი გაიტანა იაკუბიკმა (ერთი — პენალტით) და ერთიც — მაქსიმენკოვმა.

ასპარეზობენ არმიელები

როგორც ვიტყობინებოდით, თბილისსა და ბაქოში მიმდინარეობდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თასის გათამაშება ფეხბურთში. ეს იყო ზონალური ტურნირები, საიდანაც ფინალში თბილისის ზონიდან გავიდნენ ადგილობრივი არმიის სპორტული კლუბის, გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების, ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარებისა და ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის, ხოლო ბაქოს ზონიდან — ადგილობრივი არმიის სპორტული კლუბის, სამხრეთის ჯგუფის ჯარების, ნოვოსიბირსკისა და ლვოვის გუნდები.

ახლა თბილისში მიმდინარეობს გადამწყვეტი გათამაშება. პირველი შეხვედრა თბილისელებს ჰქონდათ ლვოველებთან. ნაწვიმარ მინდორზე თამაში საგრძნობლად ჭირდა. მატჩი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, ორივე გუნდმა ვერ გამოიყენა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ 85-ე წუთზე თბილისელმა ხუცურაულმა დაახლოებით 25 მეტრის მანძილიდან ზუსტი საჯარიმო დარტყმით გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში და თამაშის ბედიც მისი გუნდის სასარგებლოდ გადაწყდა.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების გუნდი — ბაქო 1:0, სამხრეთის ჯგუფის გუნდი — ვოლგისპირეთი 6:0, ნოვოსიბირსკი — ჩრდილოეთის ჯგუფის გუნდი 2:0.

ი. მეძმარიაშვილი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

საჭიროა კრიტიკაც და მხარდაჭერაც

ამ ბოლო დღეებში რედაქციაში მრავლად მოდის წერილები, რომელთა ავტორები, ფეხბურთის მოყვარულები გულისწყრომას გამოთქვამენ იმის გამო, რომ თბილისის „დინამომ“ მარცხი იწვნია ბუდაპეშტის მტკ-სთან ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველ მერვედფინალურ მატჩში, რამაც იგი ტურნირიდან გამოთიშვის რეალური საშიშროების წინაშე დააყენა. ამას გარდა, ბევრი საყვედურობს ქუთაისის „ტორპედოსაც“, იმის გამო, რომ გუნდმა ვერ შეასრულა დასახული გეგმა და ვერ მოიპოვა უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი ვიზა.

ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიმართა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს, წარსულში ცნობილ ფეხბურთელს ა. ჭკუასელს და სთხოვა აზრი გაეზიარებინა ამ საკითხზე.

— დავიწყოთ იმით, — თქვა ა. ჭკუასელმა, — რომ საქართველოს ფეხბურთელთა გუნდებს წლევანდელ სეზონში ურიგო მაჩვენებლები არა აქვთ და ზოგ შემთხვევაში შესანიშნავი წარმატებებიც მოიპოვეს.

მთელი გათამაშების მანძილზე ლიდერობდა „ა“ კლასის მეორე ლიგის პირველი ზონის გათამაშებაში ლანჩხუთის „გურია“ (უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. კაკაბაძე), რომელმაც ღირსეულად გაამართლა თავის გულშემატკივართა იმედები და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი ისეთ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში, როგორიც არიან ვილნიუსის „ჟალგირისი“, ლენინაკანის „შირაკი“, კიროვაბადის „პროგრესი“, ბრესტის „დინამო“ და სხვანი. ახლა ლანჩხუთელებს პირველ ლიგაში გადასახვლელად ორი უმძიმესი მატჩი აქვთ ჩასატარებელი, წილისყრამ კი მათ ძალზე ძლიერი მოწინააღმდეგე შეახვედრა — სვერდლოვსკის „ურალმაში“, რომელიც უწინ უმაღლეს და პირველ ლიგებში გამოდიოდა.

სვერდლოვსკი თავისი მილიონიანი მოსახლეობით უველაზე დიდი სამრეწველო ქალაქია ურალში და წარმოიდგინეთ, რა რთული პრობლემის წინაშე დგას ჩვენი პატარა დაბა ლანჩხუთის გუნდი, როცა ასეთი მდიდარი პოტენციების მქონე მეტოქეს უნდა შეებრძოლოს და ისიც ასეთ მაღალ დონეზე. პირველ ლიგაში გუნდები არა ჰყავთ მსხვილ ცენტრებს — ფრუნზეს, ივანოვოს, სმოლენსკს, კურსკს, ვორონეჟს, ორიოლს, ტულას, ტაგანროგს, ვოლგოგრადს, გორკს, მაგნიტოგორსკს, ხაბაროვსკს, ვლადივოსტოკს, ლანჩხუთს კი სურს ადგილი დაიკავოს იქ, სადაც ხელი ვერ მიუწვდათ ასეთ გიგანტებს. ჩვენ ეს დიდ წარმატებად მიგვაჩნია და, უდავოა, ქების ღირსნი არიან „გურიის“ ფეხბურთელები, მწვრთნელები, ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაცია და ის ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც ასე ენერგიულად მეთაურობენ ფეხბურთის განვითარებას ლანჩხუთში.

რედაქცია გამონაკლისი არ არის და წერილები ქუთაისის „ტორპედოს“ თაობაზე ფეხბურთის სამმართველოშიც საკმარისად მოდის. ბევრი ავტორი, მართლაც, მოჭარბებული პრეტენზიებითაა გამსჭვალული და გვაყვედრის, რომ ტორპედოელებმა წლეულს ვერ შეძლეს თავიანთი ამოცანის შესრულება, ვერ გადავიდნენ უმაღლეს ლიგაში.

ის, რომ ქუთაისის „ტორპედომ“ თვითვე დაისახა უძლიერესთა რიგებში გადასვლის ამოცანა, ნათლად მეტყველებს საქმისადმი მისი ხელმძღვანელობის, ქალაქის სპორტული საზოგადოებრიობის სერიოზულ დამოკიდებულებაზე, მასპინძლობაზე და პატრიოტულ განწყობილებაზე. უმაღლეს ლიგაში გუნდები არა ჰყავდათ ისეთ რესპუბლიკებს, როგორიც არიან აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ახლაც არა ჰყავთ უზბეკეთს, ბალტიისპირეთს, შესაძლოა იქ ადგილი დაკარგოს ბელორუსიამაც. და აი, ასეთ პირობებში, ზოგიერთი მარცხად მიიჩნევს იმას, რომ ქუთაისის „ტორპედო“ პირველ ლიგაში დარჩა.

სინამდვილეს ობიექტურად უნდა შევხედოთ, და, თუ ქუთაისელები წლეულს „მხოლოდ“ მოწინავე 7-8 გუნდს შორის იმყოფებიან, ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარუმატებლობად შევაფასოთ.

პირიქით. განა შესანიშნავი გუნდი არ არის ქუთაისის „ტორპედო“? ამ ახალგაზრდულმა, მეგობრულმა კოლექტივმა შექმნა საკუთარი ხელწერა, თავისი სტილი, რასაც ბევრი ცნობილი გუნდიც კი ვერ დაიკვეხნის. მას ჰყავს მთელი რიგი პირველხარისხოვანი, პერსპექტიული მოთამაშეები, რომელთა შემდგომი ზრდა და დაოსტატება უახლოესი მომავლის საქმეა.

ქუთაისელი ფეხბურთის მოყვარულები მხარდაჭერას არ აკლებენ გუნდს, ხალისით ესწრებიან მატჩებს მაშინაც კი, როცა ტორპედოელები ცალკეულ მატჩებს წარუმატებლად ატარებენ. სტუმრად გამართულ მატჩებშიც, სხვა ქალაქებში, ქუთაისელთა თამაშებზე დიდი ინტერესით დადიან და ყველაფერი ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ „ტორპედო“ ქართული ფეხბურთის პრესტიჟის ღირსეული დამცველია. სანიმუშო ცოდნით, ნამდვილი პროფესიული უნარით ხელმძღვანელობს გუნდს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, გამოცდილი სპეციალისტი ა. ნორაკიძე, რომლის ღვაწლი ხულ ახლახან მთავრობის მაღალი ჯილდოთი აღინიშნა.

უკმაყოფილება კი არა, მადლობა უნდა გამოვთქვათ ქუთაისის ტორპედოელთა მიმართ. წლეულს მათ ბევრი ხელშემშლელი ფაქტორი ჰქონდათ, რომელთა შესახებ „ლელოში“ თავისი მოსაზრებები უკვე გამოთქვა თვით ა. ნორაკიძემ, კოლექტივმა კი ყველაფერი გააკეთა თავისი შესაძლებლობის ფარგლებში და ღირსეულად იბრძოლა ხანგრძლივ გათამაშებაში.

მაგრამ ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ ქუთაისელები მომავალშიც დაკმაყოფილდებიან ახლანდელი მაჩვენებლებით. მათ ყოველმხრივი დახმარება და ხელშეწყობა სჭირდებათ გუნდის შესაფერისი დაკომპლექტების თვალსაზრისით და ეს ხელშეწყობა „ტორპედოს“ არ მოაკლდება. ჩვენ ყველანი დაინტერესებული ვართ, რომ საქართველოს უმაღლეს ლიგაში ორი გუნდი ჰყავდეს და საამისოდ პრაქტიკული ნაბიჯებიც უნდა გადაიდგას.

საგანგებო საუბრის ღირსია თბილისის „დინამო“. საქმე მარტო ის კი არაა, რომ „საპროტესტო“ წერილები მოდის რედაქციაში და ფეხბურთის სამმართველოში. ზოგიერთი სკეპტიკოსი თავს უფლებას აძლევს მივიდეს გუნდის საწვრთნელ ბაზაზე დილომში და დაურიდებლად ლანძღოს ფეხბურთელები და მწვრთნელები, მოსვენება არ მისცეს მათ. რა თქმა უნდა, ვერავინ დაუშლის გულშემატკივარს გამოთქვას თავისი აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, მაგრამ გააჩნია ტონს, ტაქტს. მთავარია ის, თუ რამდენად სწორია კრიტიკული შენიშვნები, საქმის არსიდან გამომდინარეობს, თუ პირველივე წაგების გამო წყენით და ზედმეტი ემოციებითაა გამოწვეული.

მართალია, ძალზე საწყენი იყო დინამოელთა მოულოდნელი მარცხი საკუთარ მინდორზე ბუდაპეშტის მტკ-სთან. ასეთ შედეგს არავინ მოელოდა. მაგრამ, მოდით, დადინჯებით გავერკვეთ მარცხის მიზეზებში, გავაანალიზოთ შექმნილი ვითარება.

უდავოდ შეცდნენ დინამოელთა ის ხელმძღვანელები, ვინც ბუდაპეშტის ეს გუნდი სუსტ მეტოქედ მიიჩნია. უნგრული ფეხბურთის ძალა საქვეყნოდაა ცნობილი, მათს საუკეთესო მოთამაშეებს რეკომენდაციები არ სჭირდებათ. მტკ რომ ძლიერი კლუბია, განსაკუთრებით ტაქტიკური თვალსაზრისით, ეს ყველამ ვნახეთ. ბუდაპეშტელებს თბილისში სულ 5-6 ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, რომელთაგან მაქსიმუმი ამოიღეს, დინამოელებმა კი, როგორც გახსოვთ, უამრავი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს და, ამას გარდა, მიუტევებელი შეცდომებიც დაუშვეს. შეცდომებს უშვებდნენ მწვრთნელებიც, მეკარეც, მცველებიც, თავდამსხმელებიც, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ გუნდი არ იბრძოდა, რომ ფეხბურთელებმა არ გამოიჩინეს მონდომება, დაზოგეს ძალები და უქმად იხეირნეს მინდორზე 90 წუთის მანძილზე. იბრძოლეს, მაგრამ თამაში თამაშია, ფეხბურთში ბევრი რამ ხდება მოულოდნელი. დარწმუნებული ვარ, პირველი 10-12 წუთის შტურმისას მრავალი რეალური მომენტიდან ერთი მაინც რომ დამთავრებულიყო გოლით, საქმე სულ სხვაგვარად წავიდოდა. საამისო შესაძლებლობა ხომ საკმარისზე მეტი იყო. მათი გამოუყენებლობა წაგების ფასად დაგვიჯდა.

ამინდი აშკარად არ სწყალობდა თბილისელებს. თუ არ ვცდები, მოსკოვის „დინამოსთან“ საგაზაფხულო ჩემპიონატში ჩატარებული მატჩის შემდეგ ჩვენს გუნდს ასეთ მძიმე მინდორზე არ უთამაშია, ბუდაპეშტელებმა კი, როგორც გავიგე, თავიანთი ბოლო მატჩები სულ ნაწვიმარ მინდვრებზე ითამაშეს.

„ლელოს“ ინტერვიუ

ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ნამდვილი, ძირითადი შემადგენლობით თამაში. განუწყვეტელი ტრავმების გამო დინამოელებს სისტემატურად აკლიათ სამი-ოთხი და ზოგჯერ მეტი ძლიერი ფეხბურთელი, უნგრელებმა კი თავიანთი საუკეთესო შემადგენლობით იბრძოლეს. განა ეს ცოტას ნიშნავს? მაყურებელთაგან ბევრი საყვედურობს ვ. ქელიძეს და მ. მაჩაიძეს, მაგრამ უმრავლესობამ არ იცის, რომ ისინი გუნდის ინტერესებისთვის ტრავმებმოუშუშებელი გამოვიდნენ მინდორზე, შეეცადნენ დახმარებოდნენ კოლექტივს, მაგრამ რადგან სპორტულ ფორმაში არ იყვნენ, ვერ შეძლეს ეს და საკუთარ შესაძლებლობაზე გაცილებით ნაკლები გამოავლინეს. მძიმე მორალურ მდგომარეობაში მყოფმა გუნდმა ამის მერე ძნელი მატჩი ითამაშა მოსკოვში ცსკა-სთან და მაინც შეძლო ქულის აღება.

თბილისის „დინამო“ ახლა ძალზე მძიმე მდგომარეობაშია. დღეს მას მატჩი აქვს დონეცკში, 30 ოქტომბერს — შინ „ზენიტთან“, 3 ნოემბერს — ბუდაპეშტში, 6 ნოემბერს — მოსკოვში „ტორპედოსთან“. დღეებს შორის ასეთი შუალედები მარტო აეროპორტებში მისვლა-მოსვლისთვის თუ კმარა, დახარჯული ენერგიის აღდგენაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. სხვათა შორის, ამაზე ცენტრალურ პრესაშიც კი დაიწერა, მაგრამ, როგორც ხედავთ, შეღავათის გაწევას არავინ ფიქრობს.

თბილისის „დინამომ“ წლეულს ფასდაუდებელი საჩუქარი ჩამოგვიტანა საქართველოში — საბჭოთა კავშირის თასი. დაუმატეთ ამას გაზაფხულზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლები, სპეციალური პრიზი დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მოგებული მატჩებისთვის, შესანიშნავად ჩატარებული მთელი რიგი შეხვედრები, ოთხი ჩვენი მოთამაშე შეყვანილია სსრ კავშირის ნაკრებში კანდიდატებად. ასეთი ძლიერი, მაღალი კვალიფიკაციის, შედეგიანი, შეთამაშებული გუნდი ბოლო წლების მანძილზე ჩვენ არა გვყოლია და აი, საკმარისი გახდა ერთი მარცხი და ზოგიერთებმა იგი საკმარისად მიიჩნიეს, რომ ზურგი შეექციათ კოლექტივისთვის და მთელი წლის მონაგარი ერთი ხელის მოსმით ჩაყარეს წყალში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ შემოვიფარგლოთ ამ მონაპოვრით, ყველაფერი მოთავებულად ჩავთვალოთ და დინამოელები კრიტიკის მიღმა დავტოვოთ. კრიტიკა საჭიროა, მაგრამ იგი უნდა იყოს სამართლიანი, დროული, მიზანდასახული, საქმიანი. კრიტიკა უნდა დაეხმაროს გუნდს, გაარკვიოს იგი ნაკლში, მისცეს საშუალება მომავლისთვის აღარ გაიმეოროს შეცდომები. სტვენა და კივილი მხოლოდ მეტოქეებს უწყობს ხელს.

თბილისის „დინამოს“ წინ აქვს ჩემპიონატის ურთულესი მატჩები, განმეორებითი შეხვედრა ბუდაპეშტში. სწორედ ახლაა საჭირო მხარში ამოდგომა, ყოველმხრივი ხელშეწყობა, ნამდვილი სპორტული ქომაგობა, რათა გუნდმა სეზონი ღირსეულად დაამთავროს.

დასავლეთ გერმანიის ქალაქ საარბრიუკენში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი აკრობატიკაში. საბჭოთა სპორტსმენებმა ლ. გულიაევამ, ტ. საბლინამ და თ. დუბროვინამ ჯგუფურ ვარჯიშში ოქროს მედლები დაიმსახურეს.

ხაკიძის ფოტო.

ორი გამარჯვება

ლენინგრადში მიმდინარეობს კალათბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელიც პირველი კოსმონავტი-მფრინავის ი. გაგარინის სახელს ატარებს. ეს შეჯიბრება ტრადიციულია და უკვე მეექვსედ ტარდება.

საასპარეზოდ შეიკრიბნენ მოსკოვის, რსფსრ-ს, უკრაინის, აშშ-ს, ლენინგრადის, ჩეხოსლოვაკიის, ლიტვის, ესტონეთისა და საქართველოს ვაჟთა, აგრეთვე, მოსკოვის, რსფსრ-ს, ლენინგრადის, უკრაინისა და ლატვიის ქალთა გუნდები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ტურნირი რუსეთში კალათბურთის დანერგვის 70 წლისთავს ემთხვევა.

ვაჟთა შეჯიბრებაში მოსკოვსა და თბილისს გამოჰყავთ „დინამოს“ გუნდები, ლენინგრადს — „სპარტაკი“, ლიტვას — „ჟალგირისი“, ესტონეთს — „კალევი“, უკრაინას — „სტროიტელი“, რსფსრ-ს — ტაგანროგის „კრასნი კოტელშჩიკი“ და კრასნოდარის „სტროიტელი“.

შეჯიბრებას ინტერესს მატებს უცხოელი სტუმრების — ჩეხოსლოვაკიისა და ამერიკის კალათბურთელების მონაწილეობა. პრაღის „სპარტა“ ქვეყნის ჩემპიონატის მესამე პრიზიორია, ხოლო სამხრეთ დაკოტის შტატის გუნდმა იტალიის, გფრ-ის, შვეციისა და ფინეთის კალათბურთელებთან 30 მატჩი გამართა და 17 მოიგო.

პირველმა შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „ა“ ქვეჯგუფი. მოსკოვი — რსფსრ 98:80, უკრაინა — აშშ 96:78. „ბ“ ქვეჯგუფი. ლენინგრადი — ჩეხოსლოვაკია 103:86.

ქალთა გუნდები. მოსკოვი — რსფსრ 86:56, ლენინგრადი — უკრაინა 95:65.

მეორე დღეს ასპარეზობაში ჩაებნენ ქართველი კალათბურთელები. მათი მეტოქე იყო ჩეხოსლოვაკიის გუნდი. გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — 99:88.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ა“ ქვეჯგუფი. უკრაინა — რსფსრ 87:75, ლიტვა — მოსკოვი 95:89. „ბ“ ქვეჯგუფი. ლენინგრადი — ესტონეთი 87:80.

ქალთა გუნდები. რსფსრ — ლიტვა 74:60, მოსკოვი — ლენინგრადი 67:59.

გუშინწინ საქართველოს კალათბურთელებმა ძნელ და საინტერესო ბრძოლაში სძლიეს ესტონელებს — 90:88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იერიში და გამარჯვება

XVI ტური. ა. ახშარუმოვა (მოსკოვი) — ტ. ჟივაევა (ალმა-ათა) 1:0, ნ. გურიელი — ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) 1:0, მ. ჩიბურდანიძე — ც. კახაბრიშვილი 1:0, ნ. იოსელიანი — ი. ლევიტინა (ლენინგრადი) 1:0, ა. კისლოვა (ლენინგრადის ოლქი) — ლ. სემიონოვა (კიევი) 0:1. ნ. გაფრინდაშვილ — ე. ეპშტეინის (გორკი), ნ. ალექსანდრია — ლ. მულენკოს (ზაპოროჟიე), ლ. საუნინა (სვერდლოვსკი) — ლ. ზაიცევას, ლ. ბელავენეც (ორივე — მოსკოვი) — ტ. ფომინას პარტიები გადაიდო.

16 ტურის შემდეგ ა. ახშარუმოვას 11 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ლ. ზაიცევას — 9,5 (2), ლ. სემიონოვას — 9,5 (1), ნ. გურიელს — 9,5, ნ. ალექსანდრიას — 9 (2), ლ. საუნინას — 9 (1), ნ. გაფრინდაშვილს — 8,5 (3), ე. ეპშტეინს — 8,5 (2), მ. ჩიბურდანიძეს — 8,5, ნ. იოსელიანს —7,5 (1).

ეს დღე სასიხარულო იყო ნინო გურიელისთვის. ნორჩმა მოჭადრაკემ შესანიშნავად წარმართა თამაში საერთაშორისო ოსტატ ტ. ზატულოვსკაიასთან პარტიაში, შექმნა მძაფრი, ტაქტიკური შესაძლებლობებით ალსავსე პოზიცია, რომელშიც ხარისხი მოიგო და იერიშის შანსი შეინარჩუნა. შემდგომი იერიში გურიელმა ისე მიზანდასახულად განაგრძო და ისეთი დიდი მატერიალური უპირატესობა მოიპოვა, რომ ზატულოვსკაია უნდა დანებებულიყო. მაგრამ იგი განაგრძობდა თამაშს, რამაც დარბაზი აახმაურა. დიდოსტატმა ბ. გურგენიძემ მთავარ მსაჯს მოსთხოვა შეეწყვიტა ზატულოვსკაიას აშკარად უიმედო თამაში, მაგრამ მსაჯთა კოლეგიას ამისი უფლება არა აქვს. ერთ მომენტში (46-ე სვლაზე) ზატულოვსკაიამ თითქოს „იმართლა თავი", როცა ეტლი შესწირა. ნინოს ეს ეტლი რომ აეყვანა, პატი იყო. მაგრამ მან შამათის მუქარით აიძულა ზატულოვსკაია წინააღმდეგობა შეეწყვიტა.

გულშემატკივრებმა ოვაცია გაუმართეს ნორჩ მოჭადრაკეს. ნინომ სპორტის ოსტატის ნორმატივი გადაჭარბებით შეასრულა.

ზატულოვსკაია



გურიელი

თამაში ასე გაგრძელდა: 16. მcd6+ მფd8 17. მ:c8 მფ:c8 18. a5 მფc7 19. ab+ ab 20. ეa6 h4 21. g4 ეb8 22. c3 ლc8 23. ლa1 მf7 24. b4 მფd8 25. bc მფe8 26. cb მფf8 27. მc5 კd6 28. b7 e4+ 29. მფh1 ლe8 30. მ:e6+ ლ:e6 31. ე:c6 ლe5 32. ე:d6 მ:d6 33. ლa3 მფg7 34. ლc5 ლe7 35. de ეe8 36. ეd1 მ:b7 37. ლ:e7+ ე:e7 38. e5 fe 39. კ:g5 ეc7 40. კ:b7 ე:b7 41. კ:h4 ეc7 42. კg3 მფf6 43. ეe1 ეc4 44. კ:e5+ მფg5 45. f4+ მფh4 46. მფg2 ე:f4 47. ეf1. შავები დანებდნენ.

ლიდერი ახშარუმოვა სერიოზულად ფიქრობს ჩემპიონობაზე. იგი დიდხანს ამზადებდა იერიშს ჟივაევას მეფეზე და პოზიციურ უპირატესობასაც მიაღწია. როცა იერიში უნდა დაწყებულიყო, ჟივაევამ ძალზე უხეში შეცდომით ლაზიერი დაკარგა.

ეპშტეინმა ხარისხი შესწირა მსოფლიო ჩემპიონს ორი კუს სიმარჯვის იმედით. მაგრამ იგი უზუსტოდ თამაშობდა და გაფრინდაშვილმა მოგების შანსი მიიღო. უცებ ნონა შეცდა და იძულებული შეიქნა გამსვლელ პაიკში ეტლი დაეთმო. გადადებულ პოზიციაში ნონას ფიგურა აკლია.

თავი გამოიჩინა იოსელიანმა. მან მიიღო ლევიტინას შემოწირული ფიგურა და იერიშზე თავად გადავიდა. ნანამ თამაში ლაზიერის მოგებით დააგვირგვინა.

ალექსანდრია გამუდმებით უტევდა მულენკოს პოზიციას, მაგრამ პარტია არ დამთავრებულა.

დასკვნითი, XVII ტურის წინ ყველა გადადებული პარტია უნდა დამთავრდეს. ასეთია საჭადრაკო შეჯიბრების წესი.

ქ. ზვორიკინა,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო ოსტატი და არბიტრი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ნ. იოსელიანი და მისი მწვრთნელი ოსტატი ე. უბილავა (ზემო სურათი); საუბრობენ ლ. საუნინა (მარცხნივ) და ლ. სემიონოვა.

ნ. მღებროვის ფოტო.

ახალი წესები გფრ-ის ფეხბურთში

ბონი. დასავლეთ გერმანიის გაზეთმა „ფრანკფურტერ რუნდშაუმ" გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ეძღვნება ფეხბურთში მსაჯობის პრობლემებს, კერძოდ კი მინდვრიდან მოთამაშეთა რამდენიმე წუთით გაძევების საკითხს. გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ წერილიდან:

„ფეხბურთელთა მატჩებში მოთამაშის რამდენიმე წუთით გაძევების სისტემას წარმატებით იყენებენ საარისა და რაინლანდის მხარეებში. მაგრამ გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციას ამ საკითხზე საბოლოო თვალსაზრისი ჯერ არ შეუმუშავებია.

ყოველ კვირას როგორც კლასით, ისე მოთამაშეთა ასაკით განსხვავებული გუნდების მატჩებში მსაჯები მარტო ჰესენის მხარეში მინდვრიდან 600 ფეხბურთელს აძევებენ. საგანგებო კომისიას უხდება მსჯელობა ყოველი დარღვევის შესახებ.

ფეხბურთის მესვეურები ამას ამბობენ: „დღეს თამაში უფრო მკაცრია და ჯარიმათა რიცხვიც იზრდება". რა ეშველება ამ საქმეს? გფრ-ის ფეხბურთის ფედერაცია უკვე დიდი ხანია მსჯელობს ამ საკითხზე. საგანგებო კომისიაც კი შეიქმნა „ყვითელი ბარათის ეფექტურობის" შესასწავლად. ბოლო სხდომაზე გადაწყდა, რომ დისციპლინის დამრღვევთა მიმართ აქაც იგივე ზომები მიიღონ, რაც ევროპის ქვეყნების უმეტესობაში: „მეორე გაფრთხილება ავტომატურად იწვევს ერთი თამაშის გამოტოვებას".

სხვა გზას დაადგნენ საარისა და რაინლანდის მხარეთა ფეხბურთის ფედერაციები. ახალგაზრდული გუნდების მატჩებში, აგრეთვე, ადგილობრივი ლიგების თამაშებში შემოღებულია მინდვრიდან რამდენიმე წუთით გაძევების წესი. სიტყვიერი გაფრთხილებისა და „ყვითელი ბარათის" შემდეგ მსაჯი დისციპლინის დამრღვევს 10 წუთით აძევებს მინდვრიდან. თუ დარღვევა კიდევ გამეორდა, არბიტრი მატჩის ბოლომდე აძევებს მოთამაშეს და ეს უკანასკნელი დისციპლინური კომისიის წინაშე უნდა წარდგეს.

„ამ წესის წინააღმდეგ სწორედ საუკეთესო მსაჯები ილაშქრებდნენ, — ამბობს რაინლანდის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ლუნებაჰი, — მაგრამ ახლა ისინიც აღიარებენ, რომ ეს საჯარიმოები საკმაოდ ეფექტურია. მოთამაშეს მინდვრიდან აძევებენ რამდენიმე წუთით (ათ წუთამდე), თუ იგი წინასწარ განზრახვით ითამაშებს ხელით ან ბურთს არბიტრის სიგნალის შემდეგ დაარტყამს. წინათ დარღვევის გამეორების შემთხვევაში მსაჯს ფეხბურთელი მინდვრიდან უნდა გაეძევებინა და ეს უკანასკნელი რამდენიმე თამაშის მანძილზე სარბიელზე ვერ გამოვიდოდა".

მაგრამ უხეშობისა და მსაჯის შეურაცხყოფისთვის მოთამაშეს დაუყოვნებლივ აძევებენ.

ამავე დროს, გფრ-ის ფეხბურთის ფედერაცია ილაშქრებს ზემოხსენებული სიახლის წინააღმდეგ იმ საბუთით, რომ რამდენიმე წუთით გაძევება ფიფა-ს მიერ გათვალისწინებული არ არის. ისინი აცხადებენ, რომ საარისა და რაინლანდის ფეხბურთის მესვეურები წესების წინააღმდეგ მოქმედებენ. მიუხედავად ამისა, ასეთი „სასჯელი" უკვე ოფიციალურადაა შეტანილი ამ მხარეთა საფეხბურთო კავშირების წესდებებში.

ფედერალურ ფედერაციასთან არსებული თამაშის პროცესის შემსწავლელი საგანგებო კომისიის ხელმძღვანელს ჰორსტ შმიდტს მიაჩნია, რომ ადგილებზე დამუშავებული წესები უარყოფილი იქნება, რადგან ფიფა-ს არ შეუძლია ასე სწრაფად შეცვალოს თავისი წესდება, ხოლო საერთაშორისო „სტანდარტების" წინააღმდეგ წასვლა სასურველი არ არის.

საეჭვოა, რომ რამდენიმე წუთით გაძევების წესი უმაღლესი ლიგის დონეზე მიმდინარე ათწლეულში შემოიღონ, რადგან სიახლემ ჯერ ბევრი გამოცდა უნდა გაიაროს. მაგრამ მხარეთა საფეხბურთო კავშირებს განზრახული აქვთ კვლავაც გამოიჩინონ თაოსნობა თამაშის წესების რეკონსტრუქციაში".

(საკდესი).

ამერიკის საუკეთესო მძლეოსანი

ნიუ-იორკი. აშშ-ს სამოყვარულო ათლეტურმა კავშირმა წლეულს ამერიკის საუკეთესო მძლეოსნად აღიარა ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი 400 მეტრზე თარჯრბენში ედ მოზესი.

(საკდესი).

ნაცადი ტრასა ამჯობინეს

პარიზი. ბობსლეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი 1977 წლის 10-16 იანვარს ჩატარდება ვილარ-დე-ლანში. თავდაპირველად ასპარეზობის გამართვა სანკტ-მორიცში (შვეიცარია) იყო განზრახული, მაგრამ ბევრმა გუნდმა უარი განაცხადა ამ ტრასაზე ასპარეზობაზე. ვილარ-დე-ლანის ტრასაზე, როგორც ცნობილია, შეჯიბრებები ჩატარდა 1968 წელს გრენობლის ოლიმპიური თამაშების დროს.



11 დიდოსტატის მონაწილეობით

იუგოსლავიის ქალაქ ბანია-ლუკში მზადდება დიდი საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრება გაიმართება 25 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე. სათამაშოდ მიწვეულია ბევრი ცნობილი მოჭადრაკე. საორგანიზაციო კომიტეტს მონაწილეობაზე უკვე მისცეს თანხმობა დიდოსტატებმა, მსოფლიო პირველობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია), კურაიცამ, პარმამ (ორივე — იუგოსლავია), საერთაშორისო ოსტატებმა, მსოფლიო ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის ჩეხოვმა, სვეშნიკოვმა (ორივე — სსრ კავშირი). მოსალოდნელია 11 დიდოსტატის მონაწილეობა, მათ შორის ოლაფსონისა, სიგურიონსონისა (ორივე — ისლანდია), ბრაუნისა (აშშ), ტრინგოვისა (ბულგარეთი), ანდერსონისა (შვეცია), საქსისა (უნგრეთი) და სხვ.

მიეძღვნა დიდ ოქტომბერს

ამას წინათ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გაიმართა ამიერკავკასიის ახალგაზრდული თამაშები ჭადრაკში, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს I, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს II (უკონკურსოდ) გუნდები. თითოეულ გუნდში ოთხი ჭაბუკი და ორი გოგონა იყო.

ყველას აჯობა საქართველოს II გუნდმა (გ. ხაილენკო, თ. ვაშალომიძე, ა. ჩიკვაიძე, გ. კუზმინი, ნანა ჩხაიძე, რუსუდან გეგიძე) — 10 ქულა. მან სძლია საქართველოს I (4:2), სომხეთის (3,5:2,5) გუნდებს და დამარცხდა აზერბაიჯანის კოლექტივთან (2,5:3,5). მაგრამ I ადგილი მიეკუთვნა საქართველოს I გუნდს (ზ. სტურუა, ს. ლპუტიანი, ი. ეფიმოვი, გ. გრძელიშვილი, ქეთევან და ნინო მელაშვილები), თუმცა მან და აზერბაიჯანელთა კოლექტივმა 9-9 ქულა მოაგროვეს. ეს იმიტომ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეებმა ორივე შეხვედრა — აზერბაიჯანისა და სომხეთის თანატოლებთან მოიგეს ერთნაირი ანგარიშით — 3,5:2,5.



როგორც ცნობილია, ნიუ-იორკის „იანკი-სტედიუმის" სარბიელზე მოეწყო პროფესიონალი მოკრივეების მუჰამედ ალისა და კენ ნორტონის შეხვედრა მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. დაძაბულ 15-რაუნდიან ბრძოლაში გაიმარჯვა ალიმ.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: იერიშზეა მ. ალი (მარჯვნივ).

საქვეყნო ჩვეულებები

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.